საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 29

ქ. თბილისი 14.05.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი ამილახვარი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი
სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ანა ფირცხალაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თეა ნადირაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ გიორგობიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ქრისტინე გაბისონია - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:
ნინო ჟიჟილაშვილი - უნივერსიტეტის მედიის სკოლის დეკანი;
დიანა მჭედლიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
მაკა ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორი;
მერაბ ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი;
ნესტან სულავა - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
კახაბერ კორძაია - უნივერსიტეტის რექტორი;
გიორგი ჩუბინიძე - ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ვახტანგ წივწივაძე - უნივერსიტეტის კანცლერი;
ლალი მეკოკიშვილი - უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ირმა გრძელიძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო ფარსადანიშვილი - უნივერსიტეტის მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ხელმძღვანელი (მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი);
ირინა ბაქრაძე - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროგრამების კოორდინატორი (მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი);
ნინო დოლიძე - მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი;

გიორგი მახარობლიშვილი - უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
დავით ბოსტოღანაშვილი - აკრედიტაციის ექსპერტი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

თეიმურაზ პაპასქირი
ნინო პოპიაშვილი
თეონა კუპრაძე
ია ფანცულაია
შოთა დოღონაძე
ნანა ფირცხელანი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:10 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ამილახვარმა. აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს - სალომე თოთიბაძეს. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის “ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ცვლილების/დაზუსტების საკითხის განხილვა.
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ჰუმანიტარულ მეცნიერებათა” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ფარმაციის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მიგრაციის მართვის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ არსებობდა რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მაჭარაშვილმა შენიშნა, რომ საბჭოს წევრს, ხათუნა თოდაძეს ჰქონდა დროის პრობლემა და იგი ვერ მოახერხებდა პირველი საკითხის განხილვის შემდეგ სხდომაზე დარჩენას, ხოლო მისი დასწრება მნიშვნელოვანი იქნებოდა "ფარმაციის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვისას, რადგან იგი თავად წარმოადგენდა სამედიცინო სფეროს. შესაბამისად, მართებული იქნებოდა, თუკი სხდომაზე განსახილველი მესამე საკითხი გადავიდოდა მეორე საკითხად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა განახლებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ცვლილების/დაზუსტების საკითხის განხილვა.
2. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განახლებულ დღის წესრიგს.

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ცვლილების/დაზუსტების საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა (აკრედიტებული 2014 წლის 21 ივლისის № 160 გადაწყვეტილებით. პროგრამის სახელი დაზუსტდა 2019 წლის 14 მაისის №112 გადაწყვეტილებით და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა")
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0703, სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში/ჟურნალისტიკაში (2014 წლის 21 ივლისის №160 გადაწყვეტილებით) კვალიფიკაციის ფორმულირება დაზუსტდა 2019 წლის 14 მაისის №112 გადაწყვეტილებით და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში" *(ცვლილება შევიდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 21 ივლისის №160 გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად ცნობილ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №17 სხდომის ოქმის მე-10 ნაწილში)*
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის და დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოსათვის გაეცნოთ განსახილველი საკითხის შინაარსი და მიზანი.

ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა თეა ნადირაძემ შპს კავკასიის უნივერსიტეტის 2019 წლის 10 მაისის №172-CU-01 წერილის (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის № 548372; 2019 წლის 10 მაისი) საფუძველზე განმარტა, რომ შესაცვლელი/დასაზუსტებელი იყო შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ კორესპონდენციაში განმარტებული იყო, რომ კვალიფიკაციის ფორმულირება „სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში/ჟურნალისტიკაში" ითვალისწინებდა ორ ალტერნატივას - „მასობრივ კომუნიკაციაში" და „ჟურნალისტიკაში", ხოლო დაწესებულება ითხოვდა მხოლოდ ერთი კვალიფიკაციის მინიჭებას, შემდეგი ფორმულირებით „სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში", რადგან კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭებისას (მათ შორის დიპლომში) დაუშვებელია დახრილი ხაზის გამოყენებით ორად ფორმულირებული კვალიფიკაციის მითითება. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საგანმანათლებლო პროგრამას დაწესებულების შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეეცვალა სახელი, რომლის შესახებ ცენტრს აცნობა 2015 წლის 4 დეკემბერის № 540-CU-01 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის № 1266806; 2015 წლის 4 დეკემბერი) და განისაზღვრა როგორც - „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია".

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სპეციალურ ანკეტა-კითხვარებში დაწესებულების მიერ ასახული ინფორმაციის სისწორის დადასტურება. მონაცემების შედარებისათვის, საწყის დოკუმენტს წარმოადგენდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და სხდომის ოქმში მოცემული ინფორმაცია. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო, საბჭოს ემსჯელა შპს კავკასიის უნივერსტიტეტის „მასობრივი კომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის" საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების ცვლილებისა და კვალიფიკაციის დაზუსტების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და კვალიფიკაციის ცვლილების/დაზუსტების საკითხი, კერძოდ,

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

საფეხური - ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში

16:20 საათზე გამოცხადდა შესვენება
16:25 საათზე განახლდა სხდომა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

შპს კავკასიის უნივერსიტეტის 2019 წლის 10 მაისის №172-CU-01 წერილის (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის № 548372), შპს კავკასიის უნივერსიტეტის 2015 წლის 4 დეკემბრის №540-CU-01 (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის № 1266806) და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, 1) ცვლილება შევიდეს „შპს კავკასიის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 21 ივლისის №160 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ". 2) ცვლილება შევიდეს „შპს კავკასიის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 21 ივლისის №160 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია". 3) ცვლილება შევიდეს „შპს კავკასიის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 21 ივლისის №160 გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად ცნობილ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 21 ივლისის №17 სხდომის ოქმის მე-10 ნაწილში და მასში მითითებული შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება და კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით. სახელწოდება: „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია"; კვალიფიკაცია „სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში".

2. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0903, ფარმაციის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ განაცხადა თვითაცილების თაობაზე, რადგან იგი საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

➢ რეკომენდებულია სწავლის შედეგების მისაღწევად სილაბუსებში ცვლილებების შეტანა და სწავლების მეთოდების კიდევ მეტად გამრავალფეროვნება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით;
➢ რეკომენდებულია სპეციალობის არჩევითი საგნებიდან მაგ: „კლინიკური ფარმაცია“, „სოციალური ფარმაცია“, „კოსმეტოლოგია“, „ბიოფარმაცია“, „ფარმაკოთერაპია“ გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების სიაში, რადგანაც აღნიშნული საგნები ფარმაციის, როგორც სპეციალობის ძირითადი განსაზღვრელია;
➢ რეკომენდებულია გაიზარდოს ფარმაციის პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო–კვლევით პროექტებში;
➢ რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში;
➢ რეკომენდებულია აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა და კვლევითი პოტენციალის გაძლიერება;
➢ რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო–კვლევითი პოტენციალის გაძლიერება;
➢ რეკომენდებულია პრაქტიკული ლაბორატორიები არსებული უნივერსიტეტის ბაზაზე საჭიროებს აღჭურვილობის დამატებას და განახლებას;
➢ რეკომენდებულია პრაქტიკის ბაზებთან შეთანხმებების გაფორმება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა

დაწესებულების წარმომადგენელის, განმარტებით, პროგრამა იყო მაქსიმალურად ადაპტირებული საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დღეს არსებულ მდგომარეობასთან. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ სფეროში იგი თავადაც იყო დაკავებული პროფესიული საქმიანობით და დღეს არსებული პრობლემები, ისევე როგორც ბაზარზე არსებული მოთხოვნები, კარგად იყო ცნობილი. მან დაამატა, რომ საქართველოში იზრდება უცხოური კომპანიების შემოსვლის რიცხვი, რომლებსაც ქვეყანაში ადაპტირება სჭირდებათ.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა დასაზუსტებლად იკითხა, ფარმაცევტული კომპანიები იგულისხმებოდა თუ არა ამ კომპანიებში.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და განაგრძო, რომ არსებობდა ისეთი სპეციალისტების საჭიროება, რომლებმაც იციან საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე ამ პროდუქციის დაშვების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და ა.შ. წარმომადგენელმა აქვე დასძინა, რომ საქართველოს წამლის სააგენტოში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ჯი-ემ-პის ინსპექტორია, რომელიც ახალი სფეროა და სჭირდებოდათ ამ კუთხით მომზადებული სპეციალისტები. აქედან გამომდინარე, გაძლიერებულად ისწავლებოდა ეს მიმართულებები, რათა უპირატესი პირობები შეჰქმნოდათ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს, ჰქონოდათ დასაქმების მეტი შესაძლებლობა, მომზადებულები ყოფილიყვნენ არა მხოლოდ საფთიაქო ქსელში, არამედ ფარმაციის საწარმოში, კერძო და საჯარო სექტორში სამუშაოდაც. ასევე, აღნიშნა, რომ სამინისტროშიც იყო მსგავსი კადრების საჭიროება და ხშირ შემთხვევაში უწევდათ კადრების გადამზადება და ნაწილობრივ პირველი საფეხურიდან სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია დასაქმებაზე, რაც ექსპერტებმაც ასახეს. მან დასძინა, რომ გაფორმებული იყო მემორანდუმები, ხელშეკრულებები და სიტყვიერი შეთანხმებები, საქართველოს ბაზარზე პრეპარატების მარეგისტირირებელ კომპანიებთან.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმმა დასაზუსტებლად იკითხა, საუბრობდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენელი პრაქტიკაზე.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და განავრცო, რომ სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას 4-5 კაციანი ჯგუფებით კერძო კომპანიებში. მან აქვე დასძინა, რომ უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ისეთი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ ანაზღაურებადი პრაქტიკაც, რომელიც გაგრძელდება არდადეგების დროსაც.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა იკითხა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს თუ იყო ეს მემორანდუმი გაფორმებული.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვიზიტის დროს ეს კონკრეტული მემორანდუმი წერილობით გაფორმებული არ იყო, თუმცა პრაქტიკა მიმდინარეობდა და არსებობდა სხვა მემორანდუმები. საბჭოს ჩატარების დღის მდგომარეობით კი, ზემოხსენებული მემორანდუმი უკვე გაფორმებულია. დაწესებულების განმარტებით ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში გაფორმდა სამი ახალი მემორანდუმი, რომელიც მათ წარმოდგენილი ჰქონდათ და საჭიროების შემთხვევაში გააცნობდნენ საბჭოს წევრებს. მათ კიდევ ერთხელ გაიმეორეს, რომ კადრებზე დიდი მოთხოვნის გამო, სტუდენტები იღებებდნენ პრაქტიკის დროს ანაზღაურებას.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ ეს იშვიათი შემთხვევა იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ ამ ყველაფრის დადებითი მხარე იყო ის, რომ პრაქტიკა გაგრძელდებოდა არდადეგების პერიოდში რეგიონების მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა იკითხა მიმდინარე პერიოდში თუ ჰყავდა უნივერსიტეტს მსგავსი სტუდენტები, რომლებიც გადიან ანაზღაურებად პრაქტიკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახლა დაწესებულებას ჰყავდა ისეთი სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ და პრაქტიკას გადიან სხვადასხვა კომპანიებში. ასევე, რათა ყოფილიყო უფრო მკაცრი ტიპის ფსიქოტროპული აფთიაქი, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ფსიქოტროპული პრეპარატების აფთიაქშიც ჩვეულებრივად მიმდინარეობს პრაქტიკა. მან ხაზი გაუსვა კრწანისის აფთიაქის მნიშვნელობას, როგორც გამორჩეულისა სააფთიაქო ტექნოლოგიებითა და სტაჟიანი თანამშრომლებით, სადაც ასევე გზავნიდნენ სტუდენტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციაში აღნიშნულ სპეციალობების არჩევითი საგნებიდან სავალდებულოში გადმოტანის საკითხი განიხილეს ხარისხის სამსახურის უფროსმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროფესორებმა. ისინი შეჯერდნენ, რომ „ფარმაკოთერაპია" აუცილებლად გადატანილი იქნებოდა სავალდებულო ნაწილში, თუმცა ვინაიდან მიმდინარეობდა მე-11 სასწავლო კვირა, ცვლილება სექტემბრიდან შევიდოდა ძალაში. მან დასძინა, რომ დაწესებულება მომხრე იყო სილაბუსებში სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნების, თუმცა აქვე ისიც შენიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი თავად აღნიშნავდა დასკვნაში, რომ პროგრამაზე გამოყენებული იყო სწავლების მრავალფეროვანი მეთდები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სტუდენტების ჩართულობაზე სამეცნიერო კვლევით პროექტებში, საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში და იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ დაბალი იყო სტუდენტთა მონაწილეობა გაცვლით პროექტებში. მან განმარტა, რომ სტუდენტები ორიენტირებულნი იყვნენ პრაქტიკაზე და შესაბამისად დასაქმებაზე, განსაკუთებით მაშინ, როდესაც სააფთიაქო ქსელები საშუალებას აძლევდნენ სწავლების პარალელურად ემუშავათ. ვინაიდან სტუდენტებისათვის დასაქმება მნიშვნელოვანი იყო, დაწესებულება ხელს უწყობდა სალექციო გრაფიკით, თუმცა პარალელურად სთავაზობდა გაცვლით პროგრამებს. საბჭოს ჩატარების პერიოდში განიხილებოდა „ფარმაციის" პროგრამის მესამე კურსის სტუდენტების განცხადება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდისა და კვლევითი პოტენციალის გაძლიერების საკითხს. მან განმარტა, რომ ეს მუდმივი პროცესი იყო და არ შეიძლებოდა მხოლოდ აკრედიტაციის პერიოდისთვის ეფიქრათ აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდაზე. საბჭოს გამართვის დღისთვის, ასწავლიდნენ მხოლოდ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების პროფესორები. სასწავლო კურსების პროცესში ჩართულნი იყვნენ ოთხი პროფესორი, სამი ასოცირებული პროფესორი და ორი ასისტენტ-პროფესორი. მათ ყველას უდასტურდებოდათ ბოლო ხუთ წელიწადში გამოქვეყნებული სამეცნიერო აქტივობა. გარდა ამისა, სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტი ყოველი სემესტრის ბოლოს ამოწმებდა აფილირებული და აკადემიური პერსონალის აქტივობას და მაღალი სამეცნიერო აქტივობის მქონეებისთვის შემუშავდებოდა აფილირებული პროფესორებისთვის ხელფასზე დანამატი. შესაბამისად, ამ სამეცნიერო აქტივობებიდან მაჩვენებლიდან გამომდინარე დანამატი მომავალი სემესტრიდან გაიცემოდა. მისი თქით, მიმდინარე წელს უკვე შეჯამდა სამეცნიერო აქტივობა, გამოიკვეთა რამდენიმე პროფესორი, რომლებიც მიიღებდნენ დანამატს შემდეგი სასწავლო წლიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო ლაბორატორიების აღჭურვილობის დამატების საკითხით და აღნიშნა, რომ ტრადიციულად პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი 50 მაქსიმუმ 60 სტუდენტი იყო. მისი თქმით, დაწესებულებას მოცემული პერიოდისათვის ჰქონდა ქიმიის,

ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ნეირომეცნიერების შემსწავლელი, მულაჟებით მოწყობილი ლაბორატორია და კლინიკური უნარჩვევების თორმეტი სადგური, სადაც პირველად დახმარებას სწავლობდნენ. მან აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი რეალიზებადი რეკომენდაცია იყო, ვინაიდან მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო სოლიდური თანხები 2018-2019 წელს ლაბორატორიების მოსაწყობად და აღჭურვილობის შემოსამატებლად. მან განაგრძო, რომ ლაბორატორიების საჭიროება დგებოდა, ვინაიდან უნივერსიტეტი ახორციელებდა „მედიცინის ერთსაფეხურიან" ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამებსაც.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ სთხოვა ექსპერტს, ლაბორატორიებთან დაკავშირებით, დაეკონკრეტებინათ ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა ჩამოთვალა ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებს უნივერსიტეტში, თუმცა ფარმაციას თავისი მიმართულების აპარატურა სჭირდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ლაბორატორიები, თუმცა ექსპერტების შეფასებით, საჭიროებდა დამატებით მოწყობას. ფარმაცევტულს თავისი კუთხით მეტი სივრცე სჭირდება, რადგან თავისი სპეციფიკა გააჩნია. გარდა ამისა, 4 კურსის სტუდენტები ჰყავთ და რაოდენობის ზრდასთან ერთად უნივერსიტეტს ლაბორატორიების მოცულობის გაზრდაც მოუწევდათ.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტების მოსაზრებას სტუდენტების ზრდასთან ერთად ლაბორატორიებისათვის მეტი სივრცის საჭიროების შესახებ და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში განსაზღვრული იყო მატერიალურ-ტექნიკური კუთხით გარკვეული თანხები. მან აქვე ხაზი გაუსვა ბოტანიკის ლაბორატორიის მნიშვნელობას, სტუდენტებისა და პროფესორის თანამშრომლობასა და ამ პროცესში ქიმიის ლაბორატორიის ჩართულობის საკითხს. მან აღნიშნა, რომ მოცემული პერიოდისათვის ეს ფართი საკმარისი იყო, თუმცა სამომავლოდ განიხილებოდა აღჭურვილობის ზრდა და სექტემბრისათვის მწყობრში მოყვანა დამატებითი აპარატურით.

საბჭოს წევრმა მაკა ლაშხიამ დააზუსტა კონკრეტულად რომელ აპარატურაზე იყო საუბარი, და იყო თუ არა შესყიდვები დაწყებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ შეკვეთები მიცემული იყო. პირველ რიგში სპექტროფოტომეტრის შესყიდვა და მონტაჟი განიხილებოდა, ვინაიდან სითხოვანი ქრომატოგრაფიის ყიდვა იმ ეტაპზე რთული იქნებოდა.

საბჭოს წევრი ხათუნა თოდაძე დაინტერესდა, მომავალი დამსაქმებლის საკითხით. ვინაიდან პროგრამას არ ჰყავდა კურსდამთავრებულები, დამსაქმებლების აზრი ვერ იქნებოდა მოძიებული. მან იკითხა, პოტენციურ დამსაქმებლებთან მომავალ კურსდამთავრებულებს თუ ჰქონდათ შეხვედრები, გამოკითხვები და რაიმე ცვლილება თუ შეიტანა დაწესებულებამ რეკომენდაციების გათვალისწინებით სილაბუსებში.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა მოცემულ საკითხზე განმარტებისათვის მიმართა ექსპერტს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ გამარტა, რომ კურდამთავრებულების არარსებობის პირობებში დამსაქმებელთან შეხვედრა შედგა და მათ თანხმობა დააფიქსირეს, რომ მიიღონ კურსდამთავრებულები, გააჩნდათ შესაბამისი საკონკურსო ოქმები და სხვა. გარდა ამისა, მისი თქმით ოქმების დონეზე გათვალისწინებული იყო დამსაქმებლების აზრი პროგრამის შედგენისას.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ დააზუსტა, რა კონკრეტული ცვლილება/მოთხოვნა იგულისხმებოდა დამსაქმებლების მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტული მოთხოვნა იყო საკანონმდებლო ბაზის და ინგლისური ენის ცოდნის გაძლიერება. ასევე, იყო მოთხოვნა ქარხნულ აპარატურაზე გამოცდილების კუთხით, თუმცა უნივერსიტეტისათვის ქარხნული აპარატურის დამონტაჟება რთული იყო და გარკვეულწილად ადაპტირება უხდებოდათ საქარხნო პროცესში. მან დაამატა, რომ დამსაქმებლის რეკომენდაციის საფუძველზე მათ გაზარდეს პრაქტიკის მოცულობა. მისი თქმით, მოცემული პერიოდისათვის, ცოტა აფთიაქი იყო, რომელიც ამზადებდა წამალს, თუმცა უნივერსიტეტი ასწავლიდა სტუდენტებს სააფთიაქო ტექნოლოგიას და აგზავნიდა პრაქტიკაზე კონკრეტულ აფთიაქში. იგივე შეეხებოდა საქარხნო ტექნოლოგიებსაც, რომელიც ისწავლებოდა თეორიულად უნივერსიტეტის ფარგლებში და საქარხნო ტექნოლოგიის კონკრეტულ დაწესებულებაში. „საქარხნო ტექნოლოგიის“ - 10 კრედიტი, „სააფთიაქო ტექნოლოგიების“ - 5 კრედიტი, რაც ჯამში 15 კრედიტს იძლეოდა, კრედიტების რაოდენობა დამსაქმებლების თხოვნის საფუძველზე იყო გაზრდილი, რათა დაესაქმებინათ კურსდამთავრებულები, რომლებსაც ქონდათ პრაქტიკული უნარები.

საბჭოს წევრმა დენიტა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ გადახედა სილაბუსებს და მიაჩნდა, რომ თვისებითი ანალიზის სილაბუსის დაშვების წინაპირობად ორგანული ქიმია არ არის სწორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, სტუდენტმა ჩვეულებრივი ქიმია თუ არ იცოდა ანალიზურ ქიმიას ვერ ისწავლიდა, შესაბამისად წინაპირობა ეს უნდა ყოფილიყო.

საბჭოს წევრი დენიტა ბიბილეიშვილი დაინტერესდა, რატომ იყო ორგანული, ზოგადი ან არაფერი. ორგანული ნაერთები განხილული იყო მხოლოდ მეცამეტე და მეთოთხმეტე ლექციაზე, დანარჩენი იყო სულ არაორგანული და ზოგადი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეჭვი ეპარებოდა დაშვების წინაპირობაში არაფრის მითითებაზე.

საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა უპასუხა, რომ ეს მისი მოსაზრება იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა, საბჭოს წევრისათვის პასუხად აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობდა აკადემიურ პერსონალს ჰქონოდა სრული აკადემიური თავისუფლება, თუმცა ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ რეკომენდაციას არ გაითვალისწინებენ. გადახედავდნენ წინაპირობის გარეშეც ან ზოგადი და არაორგანული ქიმიის დაშვების წინაპირობითაც და თუ დაეთანხმებოდნენ - გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა, ასევე, აღნიშნა, რომ ზოგად და არაორგანული ქიმიის სილაბუსში ეწერა მეოთხე სალექციო მასალის პრაქტიკულში ხსნარის კონცენტრაციის დადგენა

არეომეტრით. მან განმარტა, რომ არეომეტრით ხდებოდა სიმკვრივის დადგენა და მიუთითა, რომ ტექნიკური ხარვეზი გასწორებას საჭიროებდა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ამ შენიშვნას.

საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა ისაუბრა სილაბუსებში დუბლირების შესახებ. ფიზიკური და კოლოიდური ქიმიისა და ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატიულ სამუშაოებში ორივეგან იყო ჩაწერილი დუღილის ტემპერატურისა და სიმკვრივის განსაზღვრა. შესაბამისად გამოდიოდა, რომ ერთი და იგივეს აკეთებდნენ ორ სხვადასხვა სილაბუსში. ასევე აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა იმაში, რომ სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარის დამზადება არ იყო ფიზიკური ქიმიის ამოცანა. მისი თქმით, ფიზიკურ ქიმიას სხვა დანიშნულება ჰქონდა და ეს მიუღებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოცემულ შენიშვნას ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე აუცილებლად გაითვალისწინებდნენ, სილაბუსს გადახედავენ იმიტომ, რომ სილაბუსების მოდიფიცირება და განახლება უნივერსიტეტის პირველი ვალდებულება იყო.

საბჭოს წევრი თეა მჭედლური დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა პრაქტიკის ორგანიზება რეგიონებში, ვინ ხელმძღვანელობდა და როგორ ხდებოდა შეფასება.

მარინა გედევანიშვილმა საბჭოს განუმარტა, რომ პრაქტიკასთან დაკავშირებით სტუდენტებს ეძლეოდათ თავისუფლება. განსაკუთრებით მათ, ვინც რაიონებიდან იყო ჩამოსული. თუ სტუდენტი წარმოადგენდა კონკრეტული დაწესებულებიდან თანხმობას, რომ დაწესებულება თანახმა იყო პრაქტიკის გასავლელად სტუდენტის მისაღებად, იწყებოდა ურთიერთობა პრაქტიკის განხორციელების ობიექტთან რაიონში. გამოეყოფოდათ მენტორი, უნივერსიტეტიდან ხელმძღვანელი, რომელსაც მიავლენდნენ მივლინებაში, თუ იყო ამის საჭიროება. ასევე სტუდენტები აკეთებდნენ დღიურს, რომელშიც ყოველდღიურად მათი საქმიანობის შესახებ წერდნენ, რაზეც ხელი ეწერებოდა და ბეჭედი ესმებოდა პრაქტიკის ობიექტის მხრიდან. ასევე, დახასიათება იწერებოდა ხელმძღვანელის მხრიდან პრაქტიკანტისთვის და იწერებოდა საბოლოო დასკვნა. სილაბუსებით თვითონ ამარაგებენ დაწესებულებებს, იყო შუალედური დასკვნაც, სტანდარტული შეფასება არ არსებობდა, გაწერილი იყო პრაქტიკის სილაბუსში როგორც მენტორის შეფასება, ასევე, პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ ადგილზე შეფასება. მისი თქმით პრაქტიკის სილაბუსი წარმოდგენილი იყო წარდგენილ დოკუმენტაციაშიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

17:00 საათზე გამოცხადდა შესვენება
17:10 საათზე განახლდა სხდომა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელებულიყო მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდებოდა, თუ რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს წევრების მიერ გაცემული რეკომენდაციები.

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	10, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180 (სასწავლო კომპონენტი - 40)

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების აუცილებლობის დასაბუთება პროგრამაში და ამის გამოკვეთა პროგრამის მიზნებში;
- სწავლის შედეგების რუკა საჭიროებს გადამუშავებას.
- უნდა შემუშავდეს გარდამავალი დებულებები, რომელიც დაარეგულირებს დოქტორანტების გადაყვანას მილევადი პროგრამიდან ახალ სადოქტორო პროგრამაზე, რადგანაც სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქამდე მოქმედ სადოქტორო პროგრამას არ ჰქონდა წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე ჩაბარება და დღეს პროგრამაზე დაფიქსირებულ სტუდენტთა უდიდეს ნაწილს აქვს ჩაბარებული სხვა ენა (რუსული ან გერმანული);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების აუცილებლობის დასაბუთება პროგრამის სწავლის შედეგებით;
- თუ სადოქტორო პროგრამისთვის აუცილებელია თურქული, სომხური ან ბერძნული ენის ცოდნა, მაშინ ენების სწავლება ან უფრო მაღალ დონეზე უნდა იქნას აყვანილი, ან მოიძებნოს სხვა, უფრო ეფექტური მექანიზმი მიზნის მისაღწევად, ვიდრე ეს არის ენის საწყისი დონის სწავლება;
- საგანი „მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის კრიტიკული აზროვნების ასპექტები“ მოიცავს დასახელებული პერიოდის ქართული ლიტერატურის კრიტიკას, თუმცა სილაბუსში არ არის დასახელებული უახლესი გამოკვლევები, რაც ბოლო წლებში გამოქვეყნდა აღნიშნულ პერიოდზე ტოტალიტარიზმის, სოცრეალიზმის, კოლონიალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის მეთოდოლოგიური კვლევების გათვალისწინებით. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსი შეივსოს თანამედროვე, უახლესი გამოკვლევებით.
- საგნის „თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების (XI საუკუნის 90-იან წლებამდე) კვლევა“ სილაბუსი საჭიროებს ლიტერატურით, პირველ რიგში, უახლესი გამოკვლევებით შევსებას;
- საგნის „საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები (1991-2016)“ სილაბუსისაჭიროებს ტექნიკურ შესწორებას, რადგანაც სავალდებულო ლიტერატურაში მე-6 ნომრად მითითებულია სტივენ ჯონსის ბიოგრაფია;
- საგნის „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ სილაბუსი საჭიროებს ლიტერატურით სერიოზულ შევსებას, რადგანაც მასში • სულ სამი დასახელების ნაშრომი არის მითითებული და ყველა მათგანი ქართულენოვანია. საჭიროა შესაბამისი უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატება;
- სილაბუსებში, სადაც რუსულენოვანი ლიტერატურა არის მითითებული სავალდებულო ლიტერატურაში (ან უბრალოდ ლიტერატურაში, რომელიც არ არის დაყოფილი სავალდებულოდ და დამატებითად), შევიდეს ცვლილება და ან ეს ლიტერატურა გადავიდეს არჩევითში, ან საგანს გაუჩნდეს წინაპირობად რუსული ენის ცოდნა შესაბამის დონეზე. ეს სილაბუსებია:

1. ადამიანის მხატვრული სახის ასახვისა და კვლევის რეალიზების გზები V-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში;
2. ეთნოლოგიური კვლევის თანამედროვე პრობლემები და მეთოდები;
3. ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები;
4. საქართველოს ისტორიის თურქული წყაროების და ისტორიოგრაფიის ტენდენციები და გამოყენების სპეციფიკა (1914-1921);
5. ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები.

- მიზანშეწონილია, შემუშავებულ იქნას დეტალური ინსტრუქცია დისერტაციაში გამოსაყენებელ ციტირების წესთან დაკავშირებით და დოქტორანტებს ჩაუტარდეთ ტრენინგი ამ საკითხთან დაკავშირებით;
- დისერტაციის ინტერნაციონალიზაციის პუნქტში მოსაწესრიგებელია დოკუმენტაცია, კერძოდ, დოქტორანტურის დებულება და თვითშეფასების ანგარიში;
- იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში პუბლიკაციის ნაცვლად მიზანშეწონილია დოქტორანტებს მოეთხოვოთ რომელიმე სამეცნიერო ბაზაში (ვთქვათ, SCOPUS ან ERIH PLUS) დაფიქსირებულ ჟურნალში სტატიის დაბეჭდვა;
- დასახვეწია საბოლოო დაცვის პროცედურა. უმჯობესი იქნება, თუ ერთ-ერთი რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში გამოიყოფა მესამე რეცენზენტი და მისი დასკვნის შესაბამისად განისაზღვრება დაცვის პროცედურის ჩატარება/არჩატარების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამის განხორციელება ჰუმანიტარულ - მეცნიერებებში 2014 წელს დაიწყო, მასში ასახეს საკუთარი გამოცდილება და მოარგეს უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საჭიროებებს. იმის დასაბუთებისას, თუ რატომ გადაწყვიტა უნივერსიტეტმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის განხორციელება, მან აღნიშნა, რომ პირველ რიგში უნივერსიტეტმა აიღო ორიენტირება ისეთ მიმართულებებზე, რომლის რესურსი და რომლის კვლევის ობიექტი შეესაბამება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. უნივერსიტეტი ზოგიერთ სხვა სადოქტორო პროგამას მილევად რეჟიმში ახორციელებდა. მაგალითისთვის - სადოქტორო პროგრამა ინფორმაციული ტექნოლოგიის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მისიას ჰუმანიტარული კვლევები შეესაბამება ყველაზე მეტად, ვინაიდან უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს დიალექტოლოგიური ისე ისტორიული, ეთნოლოგიური მიმართულებით ცოცხალი კვლევის ლაბორატორია. მან დასძინა, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში კვლევები არ იყო ჩატარებული დიალექტოლოგიური მიმართულებით და ისაუბრა რეგიონში დიალექტიკის მნიშვნელობაზე. ასევე, განმარტა, რომ რეგიონი აერთიანებდა არა მხოლოდ სამცხე-ჯავახურ დიალექტს, არამედ ეკომიგრანტების ისეთ დიალექტებს როგორიცაა იმერული, ფშაური და მთიულური.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა პროგრამის მთავარი კონცეფციის, ინტერდისციპლინური კვლევების საკითხს. მან დასძინა, რომ უნივერსიტეტმა წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, ქართველოლოგიის ცენტრებთან თანამშრომლობით საბერძნეთსა და გერმანიაში, კანადელი და თურქი ექსპერტების ჩართულობით შეიმუშავა ახალი

კონცეფცია. შედეგად, უნივერსიტეტის ბაზაზე, იგეგმებოდა ახალი დისერტაციების დაცვა ისტორიულ-ეთნოლოგიური, ლინგვო-ეთნოლოგიური, ლინგვისტურ-ისტორიული და ონომასტიკური კვლევების მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სწავლის შედეგების რუკასთან არსებულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ სილაბუსებში არსებული ტექნიკური შეცდომები გასწორდა. გარდამავალი დებულებების საკითხზე კი შენიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა გადამავალი დებულების, შიდა მობილობის შესახებ პროექტი. გარდამავალი დებულების არსებობის აუცილებლობა გაჩნდებოდა აკრედიტაციის შემდეგ და ამიტომ იყო პროექტის დონეზე, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო და უნივერსიტეტი საშუალებას მისცემდა ჩარიცხულ სტუდენტებსა და დოქტორანტებს შიდა მობილობა ჰქონოდათ.

სხდომის თავმჯდომარე, გიორგი ამილახვარი დაინტერესდა რეკომენდაციაში არსებული ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით რა ვითარება იყო, კერძოდ, როგორ განხორციელდებოდა შიდა მობილობა თუ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იყო ნაკლებად მკაცრი და შემდეგ გამკაცრდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარდამავალ დებულებაში წინაპირობად ჩადებული იყო ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ხოლო უკვე ჩარიცხულ დოქტორანტებს უნივერსიტეტი სთავაზობდა ინგლისური ენის გაძლიერებულ კურებს.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ აღნიშნულთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თუ დოქტორანტი გადაჰყავდათ ახალ პროგრამაზე მაშინ ახალი პროგრამა შედეგზე უნდა გასულიყო, ხოლო ინგლისურის ცოდნის გარეშე, მხოლოდ გერმანულით და რუსულით შედეგზე ვერ გავიდოდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ამსჯელობიდან გამომდინარე გარდამავალ დებულებაში ჩაიწერებოდა, რომ დოქტორენტებს უნდა ჩაებარებინათ ინგლისური.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ამილახვარმა განმარტა, რომ პირდაპირ იმის თქმა, რომ შიდა მობილობით გადავიდოდნენ არ იყო მართებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტები ჩააბარებდნენ ინგლისურს და გადავიდოდნენ ახალ პროგრამაზე. მან გააგრძელა საუბარი კვალიფაკაციების ჩარჩოზე და აღნიშნა, რომ ექსპერტების განმარტებით ძველ კვალიფიკაციის ჩარჩოში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ერთ კვალიფიკაციას შეესაბამებოდა. შესაბამისად, უნივერსიტეტი გეგმავდა, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, 2020 წლის სექტემბრამდე კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოზე მორგებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თურქული, ბერძნული და სომხური ენები უნივერსიტეტში საბაკალავრო დონეზე ისწავლებოდა და უზრუნველყოფდა A1-დან B2 დონის ჩაცვლით ცოდნის მიღებას. დოქტორანტებისთვის შეთავაზებული იყო იმ მიზნით, რომ ენების ცენტრში სტუდენტებს არ დაჭირვებოდათ დამატებით თანხის გადახდა.

სილაბუსებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების მიღების შემდეგ მათ დაამატეს 2016, 2017 და 2018 წლების სახელმძღვანელოები ლიტერატურაში და ამ სილაბუსების წარმოდგენა შეეძლოთ. სტივენ ჯონსის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით კი, მისი თქმით ტექნიკური ხარვეზი იყო დაფიქსირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რუსულენოვანი ლიტერატურის შესახებ სილაბუსებში და განმარტა, რომ ზოგიერთ სილაბუსში წინაპირობად რუსული ენა დაემატა, ხოლო ზოგიერთში დამატებითი ლიტერატურის ნაწილში გადავიდა, რაც შედეგის მიღწევას შესაძლებელს ხდიდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების გარდა უფრო პრაქტიკული იქნებოდა რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალების დაშვება. ბაზებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2018 წელს მიღებული დადგენილებით შემდეგი ბაზები განიხილებოდა: ერიხ პლიუსი (Erih plus), ებსკო (EBSCO), სქოპუსი (Scopus), საენს დაირექტი (ScienceDirect).

რეცენზენტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბჭოს ჩატარების დღისათვის, უნივერსიტეტში უკვე არსებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სამი სადოქტორო დაცვა შედგა უნივერსიტეტში და თითოეულ დოქტორანტს სამ-სამი რეცენზენტი ჰყავდა. თურქული ენის ცოდნის საჭიროების შემთხვევაში კი, უნივერსიტეტმა თურქეთიდან მოიწვია რეცენზენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამა შეესაბამებოდა უნივერსიტეტის მისიას. მისი თქმით, უნივერსიტეტი ძირითადად სამხრეთ საქართველოზე და სამცხე ჯავახეთზე მუშაობდა. მან ასევე შენიშნა, რომ მოცემული პერიოდისათვის არსებული სამი დისერტაციიდან მხოლოდ ერთი იყო, რომელიც მუნიციპალიტეტს შეეხებოდა. ამასთან ერთად იმ ნაშრომში, რომელიც 1918-21 წლებს შეეხებოდა, საკმაოდ დიდი თავი იყო მიძღვნილი სამცხე-ჯავახეთზე. თუმცა, მან აქვე დასძინა, რომ არ მიაჩნდა მართებულად მხოლოდ რეგიონზე კონცეტრირება და უმჯობესი იქნებოდა, თუკი რიგ შემთხვევებში გასცდებოდნენ რეგიონს. მისი აზრით, სადოქტორო პროგრამა სერიოზულად გაამართლებდა ნდობას, რომელიც აქამდეც ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოსაზრება დაცულ დისერტაციებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ისინი გაეცნენ დისერტაციებს, ორი მათგანი საშუალო დონის იყო და შეფასებაც შესაბამისი მიიღეს, მესამე დისერტაცია კი სიახლე იყო ნამდვილად, ის დიალექტებს შეეხებოდა და ნამდვილად საუკეთესო იყო.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ, ითხოვა კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, თუ როგორ იყო 140 კრედიტი სემესტრების მიხედვით განაწილებული და რამდენ ხანში ესწრებოდა ნაშრომის დამუშავება.

დაწესებულების წარმომაგენელმა განმარტა, რომ დღეს პროგრამაში 140 კრედიტი ეთმობოდა სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას. მისი თქმით, რეგულაციები შეიცვალა და მინისტრის ახალი ბრძანების მიხედვით კონკრეტულად კრედიტის მინიჭების უფლება დაწესებულებას არ ჰქონდა, ამიტომ ყველა სემესტრში გაწერილი კრედიტის რაოდენობა იყო პირობითი. მან აღნიშნა, რომ დისერტაციის წერის პროცესი კონტროლდებოდა ერთი მხრივ ვულანის და მეორე მხრივ სემესტრული ანგარიშებით. კონტროლი ხდებოდა როგორც დოქტორანტის, ისე თემის ხელმძღვანელის, ხოლო კრედიტები არ იყო მითითებული, ვინაიდან დაწესებულებას ამის უფლება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ უმჯობესი იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, დოქტორანტის კვლევითი უნარების გაძლიერებისა და გამომუშავების მიზნით, შეექმნათ თემატური სემინარი. მაგალითად, პირველ მეორე სემესტრში სწავლების პერიოდში და შემდეგ დაეწყო სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია თემატური სემინარი 15 კრედიტით, რასაც უნივერსიტეტი ამოწმებდა სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით. მისი თქმით, დოქტორანტი 15 კრედიტის ნაწილში ასრულებდა ნაშრომს, რომელსაც იცავდა ფაკულტეტის მიერ შექმნილ კომისიასზე, ხოლო სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მოიცავდა სემინარს, ამის გარეშე დოქტორანტი დაცვაზე ვერ გავიდოდა.

ექსპერტებმა დაადასტურეს ეს მოსაზრება.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ შეუსაბამობა იყო პროგრამასა და სადისერტაციო საბჭოს მიერ გაწერილ პუნქტებს/მუხლებს შორის. დებულებაში ეწერა, რომ უნივერსიტეტს უნდა ჰყოლოდა ორი ექსპერტი და ერთის უარყოფის შემთხვევაში დოქტორანტი მაინც გავიდოდა დაცვაზე. მისი თქმით, რეალურად სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ეწერა, რომ დოქტორანტს უნდა ჰყოლოდა 2 შემფასებელი და 2 ოპონენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ დებულებაში ეწერა 2-3 შემფასებელი, უბრალოდ ჩანაწერი არ იყო გაკეთებული თუმცა არც ის ეწერა, რომ 2 უნდა ჰყოლოდა.

ამასთან დაკავშირებით, ექსპერტმა დაამატა, რომ უნივერსიტეტს აქამდე ეს პრობლემა არ შექმნია.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დასძინა, რომ დებულება გამართული უნდა ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მიუგო რომ ექსპერტის განმარტება ეხებოდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხს. მან განავრცო, რომ უნივერსიტეტმა დაამატა საერთაშორისო ჟურნალში სტატიის განთავსება. ინტერნაციონალიზაციის კუთხით, იმპაქტ-ფაქტორში დაბეჭდილი სტატია და უცხოელი ხელმძღვანელი, ან თანახელმძღვანელი სასურველი იქნებოდა. მნიშვნელობა ენიჭებოდა წამყვან უნივერსიტეტებსა და უნივერსიტეტის პარტნიორებთან ავტორეფერატის ან/და 30 გვერდიანი ინგლისური ნაშრომის გაგზავნას.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დასაზუსტებლად იკითხა, თუ როგორ იყო ჩანაწერი გაკეთებული და გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა ბერიძემ განმარტა, რომ დაწესებულება პროგრამის აკრედიტირებასთან ერთად გაიზიარებდა სტატიის დაბეჭდვის საკითხს.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა იკითხა, რა აუცილებელი კრიტერიუმები არსებობდა დისერტაციის დაცვამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სრუდენტს გამოქვეყნებული უნდა ჰქონოდა 3 ნაშრომი, გამოქვეყნების დასადასტურებლად ამ ნაშრომების დასკანერებული ვერსიები, დისერტაციის 4 აკინძული ვერსია, საკუთარი მაცნე და პლაგიატის კომისიის დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა იკითხა პლაგიატის გამოსავლენი პროგრამა თუ არსებობდა უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არსებობდა ერასმუსის პროგრამის ფარგლებში შეძენილი „Turnitin" პროგრამა. ამ პროგრამით სარგებლობდნენ, როგორც დოქტორანტები, ისე მაგისტრანტები. მან იქვე დასძინა, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მსგავსი პროგრამის მიღების თაობაზე ბაქოში დაფუძნებულ პოლონურ ორგანიზაციასთან და დაწესებულება მსჯელობდა ფინანსურ საკითხზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაზუტების მიზნით განმარტა, რომ უნივერსიტეტი რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებით არ ქმნის ხელოვნურ ბარიერებს და მისი თქმით, დაწესებულების გადაწყვეტილებით დოქტორანტების სტატიები ფინანსდებოდა 1000 დოლარით (2700 ლარით).

საბჭოს წევრის, გიორგი ქვარცხავას კითხვაზე, იქნებოდა თუ არა ამ თანხის მივლინებისათვის გამოყენება შესაძლებელი, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს თანხები მიმართული იყო მხოლოდ დოქტორანტებისა და პროფესორების სტატიებზე.

საბჭოს წევრი დენიტა ბიბილეიშვილი დაინტერესდა, დისერტაციის დაცვა საუნივერსიტეტო საბჭოზე ხდებოდა, თუ საფაკულტეტოზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საუნივერსიტეტო საბჭო დაწესებულებას არ ჰქონდა, ხოლო საფაკულტეტო საბჭო რეგულაციის მიხედვით შედგებოდა ყველა დარგის აკადემიური პერსონალისგან.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პროგრამაში იყო არჩევითი კურსები - 15 კრედიტის ოდენობით. მაგალითად სახის მეტყველება, როგორც ტექსტის კვლევის პრაქტიკული საფუძველი, ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები და მისი თქმით, ეს კურსები არის საბაკალავრო დონის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებს, და შენიშნა, რომ სახელწოდებები სილაბუსებში შესაძლოა იწვევდა გარკვეულ კითხვას, თუმცა შინაარსობრივად განსხვავდებოდნენ.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ აღნიშნა, რომ გაეცნო სილაბუსებს და დაინტერესედა, თუ რას ასწავლიდნენ ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციულ მეთოდებში ბაკალავრიატის დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს სილაბუსი მისი შექმნილი იყო და ასწავლიდა ბაკალავრიატის პირველ კურსზე ლიტერატურათმცოდნეობის შესავალს, რომელიც ისწავლებოდა ზოგადად უნივერსიტეტებში და შენიშნა, რომ ის არ იყო ბოლომდე გამართული, რადგან ლიტერატურათმცოდნეობა მოიცავდა ძალიან ვრცელ არეალს. მისი თქმით, ყველა მიმართულებას უნდა ეთმობოდეს გარკვეული დრო, რათა ყველა მიმართულების შესახებ ჰქონდეს სტუდენტს გარკვეული წარმოდგენა. შესაბამისად აუცილებლობა არსებობდა იმისა, რომ კვლევის მეთოდებს გაცნობოდა სტუდენტი. მისი თქმით, არ არსებობდა ისეთი სახელმძღვანელო

სადაც ერთად იქნებოდა თავმოყრილი ინოვაციური და ტრადიციული მეთოდები, ამიტომ შეიქმნა შესაბამისი რიდერი. მისი თქმით, ექსპერტებმა ნახეს ეს რიდერი და იყო საფუძველი, რომ მომზადებულიყო სახელმძღვანელო. მისი თქმით, საზღვარგარეთ, ვერცერთ სფეროში ვერ ნახავდნენ ამ ტიპის კვლევის მეთოდების შესახებ ძირითად სახელმძღვანელოს, ამდენად მან შენიშნა, რომ ეს იყო გასაკეთებელი და არსებობდა საჭიროება, რომ ეს დისციპლინა ესწავლებინათ სწორედ დოქტორანტურაში იქამდე, სანამ დოქტორანტი ნაშრომს დაწერდა.

ექსპერტმა ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამას ჰქონდა ძალიან საინტერესო უპირატესობა, რაც გამოიხატებოდა ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტთან პარტნიორობაში. მისი თქმით, პროგრამაში სავალდებულო საგანი იყო მანანა თანდაშვილის კურსი - დიგიტალურ ჰუმანიტარიაში, რომელიც მოიცავდა სამ დარგს: ფილოლოგია, ისტორია და ეთნოლოგია. დიგიტალიზაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მათი შესწავლის, ფიქსირებისა და ანალიზის ძალიან საინტერესო და ინოვაციურ საკითხებს ეხებოდა. მან აღნიშნა, რომ ნესტან სულავას კურსი დოქტორანტურაში ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები მანანა თანდაშვილის სავალდებულო კურსთან ერთად ძალიან საინტერესო ტანდემს ქმნიდა და დოქტორანტურის საფეხურზე ამ კურსის არსებობა სრულიად მიზანშეწონილად მიაჩნდა. ექსპერტი დაეთანხმა ნესტან სულავას, რომ ქართულენოვანი სახელმძღვანელო ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის უახლესს ინოვაციურ მეთოდებზე არ არსებობდა. მისი თქმით, ამაზე მუშაობდნენ მსოფლიოში წამყვანი ლიტერატურათმცოდნეები, ლიტერატურის თეორიტიკოსები, ლიტერატურის, ანთროპოლოგიის, ისტორიის და ეთნოლოგიის ზღვარზე, ზუსტად ინტერდისციპლინურ ჭრილში, მათ შორის შემოდიოდა იდენტობის კვლევები, მიგრაციის კვლევები და სხვა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს ამ კუთხით ჰქონდა ძალიან საინტერესო შეთავაზება დოქტორანტებისათვის. რაც შეეხებოდა კურსის სილაბუსს, შინაარსობრივ და ტექნიკურ ასპექტებთან და ხარვეზებთან დაკავშირებით, მას თავად ჰქონდა ეს რეკომენდაცია წინაპირობასთან დაკავშირებით, რაც ასახული იყო დასკვნაში.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა ენების საკითხთან დაკავშირებით იკითხა, ერთ-ერთი უნდა აერჩია დოქტორანტს მაგალითად ოსური, სომხური და სხვა ენებიდან, თუ შეეძლო ყველას გავლა და შესაბამისად 15 კრედიტის არჩევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა, რომ ეს შესაძლებელი იყო.

ანა ფირცხალაშვილმა იკითხა, ყველა ენის არჩევის შემთხვევაში რამდენად გადიოდა საგანმანათლებლო პროგრამა შედეგებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ სავალდებულო იყო დიგიტალური ჰუმანიტარიის კურსი, რაც აუცილებელი იყო და მიაჩნიათ, რომ ძირითად შედეგებზე გადიოდა. ყოველივე ეს კი, კვლევის ინოვაციურ მეთოდებსა და ჰუმანიტარულ დარგში დოქტორანტურის მსოფლიო დონეზე თანამედროვე მეთოდოლოგიის შესწავლას უზრუნველყოფდა. შესაბამისად მხოლოდ ენებს ვერ აირჩევდა, თუნდაც იმიტომ, რომ სავალდებულო საგანი ჰუმანიტარიაში ასარჩევი იყო. მან აღნიშნა, რომ ბევრი არაქართულენოვანი სტუდენტი სწავლობდა უნივერსიტეტში რომლებმაც ენა დიალექტის დონეზე იცოდნენ და არ ფლობდნენ ლიტერატურულ ენას, სწორედ ამიტომ მიაჩნიათ მნიშვნელოვნად სომხური, თურქული და სხვა ენების სწავლება საუნივერსიტეტო დონეზე.

საბჭოს წევრი მაკა ლაშხია დაინტერესდა, თუ რამდენად იცნობდა დაწესებულება კვალიფიკაციის ახალ ჩარჩოს და როგორ გეგმავდა პროგრამის მორგებას ახალ ჩარჩოზე, ვინაიდან უნივერსიტეტს მოუწევდა პროგრამის დაშლა სამ სადოქტორო პროგრამად ერთ წელიწადში. მისი თქმით, ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, რომელსაც განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი ამუშავებდა 2 წელი და იგზავნებოდა ყველა უნივერსიტეტში, განმარტებული იყო, რომ სადოქტორო პროგრამაზე უნივერსიტეტს შეუძლია მხოლოდ ერთი კვალიფიკაცია მიანიჭოს, ხოლო ინტერდისციპლინური და მსგავსი კვალიფიკაცია საერთოდ აღარ იყო ახალ ჩარჩოში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ბერიძემ განმარტა, რომ ამ საკითხს აუცილებლად განიხილავდა კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოსთან ერთად და შენიშნა, რომ დაწესებულებას სრულად ჰქონდა გააზრებული რომ პროგრამა 2020 წლის 30 ოქტომბრამდე უნდა ყოფილიყო სრულ შესაბამისობაში კვალიფიკაციის ახალ ჩარჩოსთან.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ დამატებით განუმარტა, რომ სამ ცალკეულ პროგრამად უნდა დაშლილიყო მოცემული პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თუ საჭირო იქნებოდა დაშლიდნენ პროგრამას.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ეს სავალდებულო იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე გზა იყო გააზრებული და ამ საკითხებს გაივლიდნენ კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოსთან.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა განმარტა, რომ ეს რთული საკითხი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო ახალ ჩარჩოსთან სრულ შესაბამისობაში მოსვლა.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ მას რამდენიმე შეკითხვა ჰქონდა. პირველი, თუ ადრე რა კვალიფიკაციას ანიჭებდა დაწესებულება სტუდენტს, რაზეც დაწესებულების მხარემ მიუგო, რომ ეს იყო ფილოლოგია, ისტორია და ეთნოლოგია მაშინდელი კანონმდებლობით. ამ საკითხზე საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განმარტა, რომ საღი აზრიც იმას ამბობდა, რომ ეს კვალიფიკაციები ტრადიციული და სტანდარტული იყო და პრინციპში არაფერი ხელს არ უშლიდა, რომ ეს ასე ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფილოლოგიის კვალიფიკაციას ვეღარ მიანიჭებდნენ, ფილოლოგიის დოქტორი, როგორც ასეთი აღარ არსებობდა.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა იკითხა, თუ რამდენი მოქმედი სტუდენტი იყო მიმდინარე პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სულ 30 დოქტორანტი იყო.

18:00 საათზე გამოცხადდა შესვენება
18:20 საათზე განახლდა სხდომა

საბჭომ იმსჯელა, ექსპერტების დასკვნის და ზეპირ სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესაბამისად, ჩათვალა, რომ პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ, საბჭოს მოსაზრებით სწავლების ფორმა არ იყო დოქტორანტურის დონის შესაბამისი, სასწავლო კურსები არ იყო კვალიფიკაციის შესაბამისი, ხოლო სილაბუსები გაუმართავი იყო და უფრო შეესაბამებოდა საბაკალავრო დონეს. გარდა ამისა, აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო ვერ გაითვალისწინებდა რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე ვიზიტის შემდგომ შემუშავებულ დოკუმენტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის საკითხი 1 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მიგრაციის მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	110902, მიგრაციის კვლევების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ

საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრებმა ირაკლი ბურდულმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა და ლევან გორდეზიანმა განაცხადეს თვითაცილების თაობაზე, რადგან ისინი საქმიანოდნენ აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა დატოვა სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- რეკომენდებულია მოხდეს სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი კომპონენტების გაუმჯობესება;
- რეკომენდებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, კვლევის მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის სილაბუსების გადახედვა მათი გაუმჯობესების მიზნით;
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების მომზადებასა და დაცვაზე განხორციელდეს მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული, როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი ლიტერატურის სია, განახლებისა და შესასწავლი მასალის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ გააკონტროლოს სამაგისტრო ნაშრომებში არავალიდური წყაროების გამოყენების შემთხვევები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- დაწესებულებამ სასურველია უფრო ხშირი გახადოს სტუდენტთათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზება, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორქშოპის ჩასატარებლად მოიწვიოს დარგის უფრო მეტი უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტი;
- დაწესებულებამ სასურველია შეიმუშავოს სტუდენტებთან კომუნიკაციის უფრო ეფექტური არხები, რათა გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირება სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობაზე;
- სასურველია შინაარსობრივად გადაიხედოს მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული „გამოცდა სპეციალობაში", რამდენადაც მიგრაციის მართვის სპეციალისტების მომზადებას ბაკალავრიატის დონეზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს ვერ ექნებათ მოცემულ სპეციალობაში საჭირო ცოდნა.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვისას ექსპერტმა ისაუბრა შემდეგ საკითხებზე:

- მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა უნიკალურია საქართველოს მასშტაბით და მას ჯერჯერობით საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ანალოგი არ გააჩნია. პროგრამა, სტუდენტების მიერ მისი ათვისების პირობებში აუცილებლად უზრუნველყოფს სათანადო დონის სპეციალისტების მომზადებას მიგრაციის კვლევების მიმართულებით. ამავდროულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამის განხორციელებით დაგროვილმა გამოცდილებამ საშუალება მისცა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს მნიშვნელოვანი დახმარება აღმოეჩინათ ქაბულის უნივერსიტეტისთვის ანალოგიური პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის თვალსაზრისით, რაც საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოცდილებაა.

სხდომის თავმჯდომარემ უნივერისტეტის წარმომადგენლებს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის, რომელიც მათ გასწიეს ვიზიტის დროს, დასკვნისთვის და კარგი პრაქტიკის გამოკვეთისთვის. მან დაადასტურა, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამა უნივერსიტეტის 219 პროგრამიდან. შესაბამისად საუკეთესო პრაქტიკა აკრედიტაციის ექსპერტებმაც ჩაწერეს თავიანთ დასკვნაში, რადგან უნივერსიტეტს სწორედ ამ მიმართულებით ქონდა გარკვეული ნაბიჯები. მისი თქმით, პროგრამას ჰქონდა კარგი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და, ორჯერ იყო დაფინანსებული ერასმუს+ მიერ. ფაქტობრივად გაზიარება ამ პროგრამის ხდებოდა არა მხოლოდ იმ ქვეყნებს შორის რომლებიც ერასმუს+ ან კონკრეტული პროექტის ფარგლებში იყვნენ ჩართულები, არამედ მომდევნო ეტაპზე ხდებოდა სხვა ქვეყნებშიც. მისი თქმით, პროგრამამ გააკეთა მესამე აპლიკაციაც. მისი თქმით, პროგრამის განვითარება ყოველთვის შესაძლებელი იყო და მიაჩნდათ, რომ რეკომენდაციები ნამდვილად ღირებული იყო და ისინი ამ მიმართულებით განაგრძობდნენ მუშაობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შენიშნა, რომ უნივერსიტეტმა აკრედიტაციის ვიზიტის დასრულების შემდეგ სამ დღეში განახორციელა სტუდენტთა მივლინება გერმანიაში, ოდენბურგის უნივერსიტეტში, პროფესორ ლიდია პოტთან. ეს პროფესორი იყო ანალოგიური სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი გერმანულ უნივერსიტეტში, პროგრამის სახელი იყო მიგრაციის და ინტერკულტურული ურთიერთობების ევროპული სამაგისტრო პროგრამა, რომელიც საუკეთესო პრაქტიკად იყო ევროკავშირის მიერ აღიარებული. მისი თქმით, უნივერსიტეტმა დოქტორ პოტს მიაწოდა ექსპერტთა რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია და სწორედ მასთან სამუშაო რეჟიმში, სტუდენტებმა გაიარეს ის საკითხები, რაც ხელს უწყობდა სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის ამაღლებას. მან აღნიშნა, რომ პროფესორმა პოტსმა უზრუნველყო კოლეგების შეხვედრა სტუდენტებთან, რათა მათი სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა მეტად დახვეწილიყო და ჩაინიშნა სკაიპ კონფერენციები სემესტრის განმავლობაში, იქამდე სანამ სტუდენტები დაამთავრებენ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რათა ხარისხი კიდევ უფრო ამაღლებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე სილაბუსში ლიტერატურის გადახედვის საკითხს უნივერსიტეტი იზიარებდა. ექსპერტთა დასკვნის გაცნობისთანავე, მოიწვიეს კურიკულუმის განვითარების კომიტეტი, რომელშიც ის პროფესორებიც შედიოდნენ,

ვისი სილაბუსებიც მოხვდა რეკომენდაციების ნაწილში. მისი თქმიტ, მიმდინარე წლის ივნისის თვეში იგეგმებოდა გამდიდრებული, განახლებული ლიტერატურის შემენა ისევ ერასმუსის პროექტის ფარგლებში. ინტერნაციონალიზაციის კომპონენტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ეს პროგრამა მეორეჯერ ფინანსდებოდა ევროკავშირის, ერასმუსის პროგრამის ფარგლებში. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირი არის შედეგებზე ორიენტირებული ორგანიზაცია და რადგან გამოჩნდა კარგი შედეგები სწორედ იმიტომ დააფინანსა უნივერსიტეტი მეორეჯერ, ერასმუსის გრანტით. მისი შენიშვნით, მათ მუდმივად ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ უზრუნველეყოთ სტუდენტების მივლინება საზღვარგარეთ, ამას ადასტურებდა არამარტო ოლდენბურგში სტუდენტების მივლინება მიმდინარე წლის აპრილში, არამედ ისიც, რომ საბჭოს ჩატარების კვირას ჩამოიყვანეს ექვსი უნივერსიტეტის მაგისტრანტი ალიკანტეს უნივერსიტეტიდან, სადაც საქართველოს კოორდინირებით განხორციელდა საზაფხულო სკოლა სამხრეთ კავკასიის მიგრაციის პროგრამების სტუდენტებისთვის. მისი თქმით, თვრამეტი სტუდენტი ჩაიყვანეს სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან და პროფესორები ავსტრიიდან, გერმანიიდან და ესპანეთიდან. მან აღნიშნა, რომ ეს იყო გამოცდილების ურთიერთგაზიარების საუკეთესო პრაქტიკა, ვინაიდან სწორედ ევროპელ პროფესორებთან ტანდემში აკადემიურმა პერსონალმა წაიკითხა ლექციები.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ ნამდვილად ძალიან კარგი პრაქტიკა იყო თუნდაც სტუდენტების მივლინება გერმანიაში, თუმცა მუდმივად მსგავსი პროცესი არ იყო მიზანშეწონილი და უნივერსიტეტსაც მართებდა, რომ ჰქონოდასაკუთარი რესურსი, რომელიც ამაზე იმუშავებდა, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომების გაუმჯობესებაზე. მან დაამატა, რომ გადახედა სილაბუსებს და გაუჩნდა კითხვა ერთ-ერთ სილაბუსთან დაკავშირებით, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, რა ზეგავლენას ახდენდა მიგრაციაზე და რა საჭირო იყო ამ პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს შეკითხვისათვის და აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით ქართულ რესურსთან ერთად გამოიყენეს გერმანული პრაქტიკაც.

აკადემიური პერსონალის მივლინებების სისტემატური დაგეგმვა იმისთვის ხორციელდებოდა, რომ მათ ადგილობრივი რესურსით შემლებოდათ სამომავლოდ ხარისხიანი სამაგისტრო ნაშრომების შექმნა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. მისი თქმით, ეს იყო გამოცდილების მუდმივად გაზიარების ფორმატი. ვინაიდან ყველაზე კარგად ევროკავშირს ესმოდა რა იყო მიგრაციის პრობლემა.

ანა ფირცხალაშვილმა დააზუსტა, რომ პროგრამა ხორციელდებოდა საქართველოში და დაინტერესდა, თუ როგორ მიხედავდნენ ამ საკითხს ადგილზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მუდმივი რეჟიმი არსებობდა ურთიერთგამოცდილების გაცვლისა, რაც ასევე აკადემიური პერსონალის ხედვაზე ახდენდა გავლენას და მათ დამოუკიდებლად შეეძლოთ ხარისხის განვითარება. ოჯახური ძალადობის კურსთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ გარდა ქართული რეალობისა, ეს კურსი უმნიშვნელოვანესად ახდენდა გავლენას საერთაშორისო სახელმშეკრულებო ჩარჩოს მიმოხილვაზე. მისი თქმით, მიგრანტთა ერთ-ერთი მსხვილი ნაკადი სწორედ გამომდინარეობდა ოჯახური ძალადობის ფაქტებიდან, განსაკუთრებით აზიური ქვეყნებიდან, სადაც გენდერულ საფუძველზე ქალებს ოჯახში ექმდებოდათ პირობები, რომელიც შეუძლებელს ხდიდა მათ იქ

დარჩენას და იძულებულები იყვნენ საშველი ეძებნათ საზღვრის კვეთით და ასევე საქართველოშიც ფიქსირდებოდა მსგავსი შემთხვევები.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ განიხილავდნენ ასეთი დიდი ფინასების პირობებში და საუკეთესო ანალოგის გათვალისწინებით, ორმაგი ან სამმაგი ხარისხის პროგრამის გაკეთებას, ამ ახალ დარგში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამომავლო თანამშრომლობის პერსპეტივებში უნივერსიტეტი ამას განიხილავდა აქტიურად და როგორც უკვე ისაუბრეს, მათ ახალი პროექტი ჰქონდათ ერასმუსის დაფინანსების ჩარჩო-პროგრამაში, რომელშიც ამას აუცილებლად გაითვალისწინებდნენ წამყვან ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა პრაქტიკასთან დაკავშირებით დამატებით დაუსვა შეკითხვა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ პრაქტიკას ეს კურსი არ გულისხმობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არჩევითად ხდება პრაქტიკის გავლა.

ექსპერტმა დაამატა, რომ პრაქტიკის გავლა იყო რთული, რადგან მას აქვს თავისი სპეციფიკა. შესაძლებელი იყო პრაქტიკის გავლა შინაგან საქმეთა სამინისტროში. მისი თქმით, უნივერსიტეტში აბსოლიტური კონტიგენტიდან რამდენიმე მუშაობდა სპეციალობით და პრაქტიკას აზრი აღარ ჰქონდა, ხოლო ოთხი სტუდენტი იყო ისეთი, რომელიც საერთაშორისო აკრედიტაციებში ამ მიმართულებით მუშაობდნენ.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა იკითხა თუ არჩევითი პრაქტიკა სად ან ვისთან ხორციელდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ის ხორციელდებოდა ძირითადად საზღვარგარეთ, იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად იქ იყო ბაზა მომზადებული მათი სტუდენტებისთვის. მისი თქმით, ყველაზე კარგი მაგალითი იყო გერმანიაში არსებული საკონსულტაციო ცენტრი ოლენა, რომელიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მიგრანტი ქალბატონების რესოციალიზაციაზე მუშაობდა და ამასთან სტუდენტებს შეხება ჰქონდათ მივლინებების პერიოდში. მან აღნიშნა, რომ პროგრამა თავად იყო გამდიდრებული სპეციალური გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი პროფესორებით, რომლებიც რეალურად ყოველდღიური პრაქტიკიდან უზიარებდნენ მაგალითებს სტუდენტებს, ვინაიდან პრაქტიკული კომპონენტი თეორიულთან ერთად ქმნიდა ერთობას. ამავე დროს, მისი თქმით, 2016 წლიდან მზარდია იყო იმ კანდიდატების ჩაბარების სურვილი პროგრამაზე, რომლებიც უკვე მუშაობდნენ ამ სფეროში.

18:45 საათზე გამოცხადდა შესვენება
18:50 საათზე განახლდა სხდომა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს სხდომა დასრულდა: 19:00 საათზე.

თავმჯდომარე
გიორგი ამილახვარი

მდივანი
სალომე თოთიბაძე